მაინც ვერ გაიმარჯვეს

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 9 სექტემბერი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) _ “დინამო” (თბილისი) _ 0:0.

“ჩერნომორეცი”: იარჩუკი, ნეჩაევი, რეშკო, ფაიდმანი, სირომიატნიკოვი, მასლოვი, საპოჟნიკოვი, მიხაილინი, პორკუიანი, სეკეჩი (ბოსი), ზვენიგოროდსკი (პროკოპენკო).

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მაჩაიძე, კუტივაძე (მჭედლიშვილი), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: პ. გავრილიადი (სოჭი).

დუბლიორთა შეხვედრა არ შემდგარა.

ტაიმმა ისე განვლო, რომ მინდორზე არაფერი მოხდარა. აღსანიშნავი იყო მხოლოდ მომენტი, როცა ზვენიგოროდსკის გარღვევის შემდეგ პორკუიანს შეექმნა ბურთის გატანის ასპროცენტიანი შანსი, მაგრამ ამ გამოცდილმა ფორვარდმა ხელიდან გაუშვა ეს იდეალური შესაძლებლობა. ტაიმის დასასრულამდე “ჩერნომორეცს” კიდევ ჰქონდა რამდენიმე სახიფათო იერიშები, მაგრამ მათი უვნებელყოფა თბილისელებს არ გასჭირვებიათ.

საგრძნობლად გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ. დინამოელებმა მოუმატეს ტემპს. ამოქმედდნენ თავდამსხმელები, განსაკუთრებით, მარცხენა გარემარბი ლ. ნოდია. მე-10 წუთზე იარჩუკმა თავისი გუნდი იხსნა აშკარა გოლისგან კუტივაძის დარტყმის შემდეგ. “ჩერნომორეცის” მეკარეს კიდევ მოუხდა ძალიან საშიში ბურთის აღება.

შუა ტაიმში ოდესელებმა შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება, მაგრამ მატჩის დასასრული კვლავ დინამოელთა იერიშებით აღინიშნა. მიუხედავად ამისა, მათ მაინც ვერ შეძლეს გამარჯვების მოპოვება და ქულას დასჯერდნენ.

ო. ბუჩმა. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 12 სექტემბერი, 1970 წ.